**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# „ვარშაყიანი“

„ვარშაყიანი“, XVIII ს. ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი, საგმირო-ფანტასტიკური დასთანების ვრცელი კრებული. მასში ლექსნარევი პროზით მოთხრობილია ვარშაყისა და მისი წინაპრების რამდენიმე თაობის ფალავანთა სარაინდო თავგადასავალი. ვარაუდობენ, რომ თხზულება ნათარგმნია ან გადმოკეთებულია დღემდე უცნობი სპარს. წყაროდან. ყურადღებას იქცევს ტექსტში ქართ. ასოებით ჩაწერილი თურქ. ფრაზა. ძეგლი შედგება 18 კარისაგან (გამოცემულია მხოლოდ I კარი), ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერის სახით. არსებობს ცნობა, რომ „ვ.” თარგმნა ვინმე ტუსიშვილმა XIII ს-ში. შესაძლოა, ეს გვარი სპარს. დასთანების ცნობილი შემდგენლის ტარტუსის დამახინჯებული წაკითხვისგან მომდინარეობდეს.

ტექსტი: ვარშაყიანი, კარი I. ძველებური ზღაპრული მოთხრობა სპარსულიდან ნათარგმნი, გადასწორებით მ. ახპატელოვისა, ტფ., 1885.

*ლიტ.*: ახ ვ ლ ე დ ი ა ნ ი  გ., ვარშაყიანი, კრ.: ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968; კ ე კ ე ლ ი ძ ე  კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958.

***ა. გვახარია***